

2017 წლის 10 მაისი, ქალაქი ქუთაისი

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოხელეთა საკონკურსო-  
საატესტაციო კომისიის სხდომის მოწვევის და მისი დღის წესრიგის  
განსაზღვრის თაობაზე**

1. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში-კომისია) სხდომა 2017 წლის 22 მაისს, 10:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32 დარბაზი №4.

შემდეგი დღის წესრიგით:

ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორისა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტების ვაკანტურ თანამდებობებზე საკონკურსო პროგრამის დამტკიცება;

ბ) კონკურსის ეტაპების, პირობების, შეფასების ფორმებისა და ჩატარების თარიღის განსაზღვრა .

გ) კანდიდატის შერჩევის წესის განსაზღვრა.

დ) კონკურსანტებთან კომუნიკაციის წესის დადგენა;

ე) კონკურსთან დაკავშირებით სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა;

ვ) გასაუბრებაზე გამოცხადებულ კონკურსანტთა სარეგისტრაციო ბარათის ნიმუშის დამტკიცება;

ზ) კონკურსანტის შეფასების ბარათის ნიმუშის დამტკიცება;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსმა-ნათია ლოლაძემ უზრუნველყოს კომისიის წევრთა ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე: /ხელმოწერილია/ **გოჩა აბუსერიძე**

ასლი სწორია *ს. ნათია ლოლაძე*

საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი

